სახალხო გაზეთი

№ 18 კვირა, 19 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 188

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ხტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან გაკეთებულ განცხადებათა ფასი: ხტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხანგრძლივიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ედირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომ ლნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საგაზეთო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიგვის ქ., ხ. ხიტროვის და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—ძორჩაკის 11, ვარშავაში—ძარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირუის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე გვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და ლაკონიური ინფორმაციები ხელ არ ისახლება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღეოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთზე“ 1911 წლისთვის ხელის მოწერა მიიღება **მხოლოდ** რედაქციის კანტორაში და „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივ. ავალიშვილთან.

ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორია ულრმესის მწუხარებით აუწყებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ **კვირას, 19 დეკემბერს**, წირვის შემდეგ, ვანქის ტაძარში

მის უწმინდესობის სრულიად სომეხთა უმაღლეს პატრიარქისა და კათალიკოზის

დაკრძალვის დღეს, 12 საათზე, მისის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ნინო ნიკოლოზის ასული და ალექსანდრეს ასული, სამსონ წერეთელი შვილები თურთ და **რაჟდენ ჯაფარიძე** მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი დის, მეორე ძმისწულის და მესამე ბიძაშვილის

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 19 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 საათ. დაკრძალვა კუკ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ანდრეევის ქ. № 18. (5—289 5)

კნეინა დარია ალექსანდრეს ასული და **ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილები**, შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 19 დეკემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

ბაბო ჩერქეზიშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი 12 ს. (1—298—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37
კვირას, 19 დეკემბერს, 1910 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა:

მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, ი. გავდევანიშვილისა.
ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელები.

II

სიცრცხვილია

ვოდევილი 1 მოქმედებად, ვინ-განისგ.
მონაწილეობას იღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოება. (5—5) რეჟისორი ვ. შალიკაშვილი

სახაზინო თეატრი
სამშაბათს, 21 დეკემბერს,

იუბილე კ. მესხისა
საღამესასწაულო წარმოდგენა,
ოთხ განყოფილებად:

I
მილოცვა ანბანგ მსახიობთაგან და დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან.

რუსთაველი,
პირველი მოქ. კ. მესხის მიერ გადმოგეთარგმნული.

II
ჟირვეული ცოლის მოჯალეობა,
მე-4 მოქ. ვ. მეძსპირისა, თარ. კ. მესხისა.

III
სიკვდილი ნაპოლეონისა,
დრამატ. ტეუდი, 1 მოქ.

IV
საერთო მილოცვები და ადრესების მირთმევა.
მონაწილეობს მთელი დასი.
ვ. ჯავსაძის დიდი ქართული ხორო.
სრული ოპერის ორკესტრი.
წარმოდგენის დღემდე ბილეთები იყიდება ქართულ თეატრში
დასაწყისი 8 საათზე. დრამ. გამგეობის თავმჯდ. ნ. ჭავჭავაძე.

გუნებრივი კაბური
ღვინოები
კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან
ძმ. ხელაშვილებისა.
სარდაფში ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.
ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.
(20—195—51) **პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.**

6 იანვარს, 1911 წ.,
ტფილისის საპრეზიდიუმოს დარგაზში ჩვეულებრივი
თავად-აზნაურული
ბალი
გაიმართება
(3—302—1) „ბალის“ დიასახლისად ბანინა ოუდა კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა.

თამბაქოს ახალი ქარხნის გამგეობა
ФАБР МАРКА 1910 Т-ВА
კომეტას ამხანაგობისა
(ტფილისი, ავჭალა „КОМЕТА“ ლის ქუჩა № 8)
ТИФЛИСЪ

საზოგადოებას აუწყებს, რომ დღევანდლიდან ტფილისის და კავკასიის სხვა ქალაქებში გასასალ მოვიდა ჩვენის თამბაქოს ქარხნის ნაწარმოები. საზოგადოებისათვის მიგვინდია თვითონ შეადაროს ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებულ თამბაქოს ღირსება სხვათა ნაწარმოებს; გამგეობა საჭიროდ ჰრაცხს აღნიშნოს, რომ საწყობში დიდძალი სათადარიგო მასალა აქვს დაწყობილი, კარგად გაშრალი, ხელოვნებულის ოსტატის ხელით დამზადებული და გადარჩეული. ჩვენს ნაწარმოებს რბილი გემო და სასიამოვნო სურნელება აქვს. ყოველი საშუალებაა მიღებული, რომ ამხანაგობა კომეტას ქარხნის ნაწარმოები მუდამ აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნილებას, რაც საუკეთესო თამბაქოს მოეთხოვება ამაში ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, ვინც მუდამ მოიკითხავს პაპიროსებს:

№ 1 გალეია—25 ცალი 38 კაპ.
„ 2 არისტოკრატიული—25 ც. 30 კ.
„ 3 ხან-კეფი—25 ც. 30 კ.
„ 4 სამაგალითო—25 ც. 25 კ.
„ 5 იავა—10 ც. 10 ც. კ.
„ 6 ვენერა } 25 ც. 15 კ.
„ 7 იდეალი }
„ 8 მინიონი } 10 ც. 6 კ.
№ 9 ფუროორ } 25 ც. 15 კაპ.
„ 10 ეფიცრისა } და
„ 11 გალლეია } 10 ც. 6 კაპ.
„ 13 რენომე 10 ც. 5.
„ 12 როსკომ—25 ც. 10 კ. 15 ც. 6 კ. 10 4 კ.
„ 15 სვეტ 20 ც. 6. კ.
„ 21 ეხრ—20 ც. 5 კ.
„ 20 ბარბა 20 ც. 5 კ.

თამბაქო: მაგარი, საშუალოზე მაგარი და საშუალო.
გირვანქა ღირს 1 მან. 36 კაპ., 1 მ. 60 კაპ., 1 მან. 84 კ., 2 მ. 40 კ., 2 მ. 64 კ., 3 მ. 40 კ. და 10 მანეთზე ზევით.
(2—291—2)

სახალხო სახლი
კვირას, 19 დეკემბერს, **ნ. ე. ერმოლაევი** წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე:
ანნა კარენინა
ლ. ტოლსტოისა.
ლექციის შემდეგ უფასო კონცერტი
მონაწ.: ქ-ნი ბალაშევსკაია, ლუზიგანი, ბ-ნნი იანგოლევი, ურლინტი, ლელოვინი, ჯაბაური და ძმები პალდოგები დაუკრავენ სკრიპკაზე.
დასაწყისი ლექციისა დილის 11 საათზე. ფასები 5 კ. 10 კ.-მდე.

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами
Тифлисъ, Баку, Батумъ.
Адресъ Телеграммъ Санитасъ Тифлисъ
Adresse Télégraphique SANITAS
საწყობთან (ევანგულოვის ქუჩა, საკ. სახლი). ყოველ დღე და კვირას, 19 დეკემბერსაც, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 6—8 ს.-დე.
დიდ-ძალი გამოფენა
ფოგელის ხის ფორთოლოვისა,
მეტად დაკლებულ ფასებში
რადგანაც ამ საქონლით ვაჭრობის უკანასკნელი დღეა. (1—300—1)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ბუთმაბათოითი მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ე)

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ქ. ქუთაისში
იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიკარაძისა. (თ.—188—40)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—291

ექიმი ალ. სოლოლაშვილი — ქბილისა
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (ე)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კირეევის ქ., № 9. (ე)

ექიმი ქბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დღით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი რ. დ. მაჩავარიანი
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. თ.—180—58

ელექტრონისა და რენტგენის საავკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორდანოვის ქ. N 20. (0—5.—110)

დაკარგე
17 დეკემბერს, ღამე, მიხაილოვის ეუზაზე, აბრეშუმის ყვავილებით ნაქერი ხელსახოცი. მპოვნელს ვთხოვ დაბრუნოს, რისთვისაც მიიღებს საჩუქარს. ადრესი: მიხ. პროსპექტი, № 22, მაღაზია „სტერლიჩი“.
1—301—1)

ტფილისი, 19 დეკემბერი

კოოპერაციები საერთოდ და მეცხვარეებისა კერძოდ. ჩვენს დროში კოოპერატივულ ამხანაგობათა დაარსებას პრინციპიალური მოწინააღმდეგე არა ჰყავს. ყველას, ვისაც კი ამგვარ ამხანაგობათა შესახებ გაუგონია რამე, ერთხმად ირწმუნება, ჩვენს პირობებში მათ მეტად დიდი საკეთილდღეო გავლენა შეუძლიანთ იქონიონ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზეო. ამისდა მიუხედავად საკოოპერაციო მოძრაობის მოტრფიალენი სიტყვათა შადრევანს ვერ გასცილებიან და პრაქტიკულად საქმეს ვერ შესდგომიან.

საინტერესოა, ვიცოდეთ, რატომ ჩვენის ფიქრით, აქ მრავალი სხვა და სხვა მიზეზი მოქმედობს, ხოლო პირველი ადგილი კი მშრომელ ხალხის შეუგნებლობასა და ინტელიგენციის ხალხისაგან დაშორებას უჭირავს. თავის-თავად ცხადია, საკოოპერაციო მოძრაობის ასპარეზს წარმოადგენს არა თუ ტფილისში დაბინადრებულ ინტელიგენტის კაბინეტი, არამედ სოფელი. სოფელში კი ხალხი არც კოოპერაციის იდეას იცნობს და, რომ იცნობდეს კიდეც, ვერც მოახერხებს თავის საკუთარის ძალღონით სამეურნეო ამხანაგობათა მოწყობას სოფლის ინტელიგენციის დაუხმარებლივ. ჩვენდა სამწუხაროდ ქართველი ინტელიგენცია ერთობ ძლიერ გაურბის სოფელს, ხოლო ვინც იძულებულია სოფლად იცხოვროს, მომეტებულ ნაწილად იმ აზრისაა, ვითომც ერთად ერთი გამოსავალი ინტელიგენტურ შრომისა სოფლად წარმოდგენების გამართვა იყოს. სასოფლო სკოლის მასწავლებელი, სოფლის მღვდელი, სოფლის მწერალი და სხვა ადგილობრივ მოხელენი პირადად მაგრე რიგად დაინტერესებული არ არიან ადგილობრივ საკოოპერაციო ამხანაგობათა დაარსებით, თვით ხალხს კი ამ ახალ საქმის მოსაწყობად არც ცოდნა აქვს და არც საკმარო თანხა.

საკოოპერაციო ამხანაგობა დასაწყისში ისეთ პატარა საქმეს ჰგავს, რატომ უნდა ვიყიდოთ, მხოლოდ **თავგარეთქილაძის** და **ჩარკვიანის** შედგენილი.

პედლის პალენდარი?

იმიტომ რომ იმაში არ არის არეული არც ერთი ერონენების საკალენდრო ცნობები, როგორც ეს ზოგიერთებშია.

იმიტომ რომ დაკაზმული ფურცლები აღარ ჩამოცვივდება.

იმიტომ რომ ის კარგ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი.

იმიტომ რომ ის უარს არა ჰყოფს სწავლა-განათლებას, თეატრს და საზოგადოთ ცივილიზაცია-კულტურას.

იმიტომ რომ ის არ უქადაგებს საზოგადოებას, მხოლოდ კლერიკალიზმი ვავამეფოთო

იმიტომ რომ მხოლოდ ამ კალენდრის მყიდველს ეძლევა **საჩუქრათ** საუკეთესო მწერლების საუკეთესო წიგნები ღირებულ 20 კაპ. ვინც კალენდარს ნაწერ ფასზედ იყიდის.

კალენდრები იყიდება ყველგან მხოლოდ, პრემიები ყველას არ წაუღიათ და თუ ვინმე ისურვებს ყველას გაუგზავნით ერთი შაურის დამატებით.

უმთავრესი საწყობი: ტფილისი, სემენოვის ქუჩა № 4 კ. **თავგარეთქილაძეს.**
(0—295—2)

რომელსაც დიდის აღტაცების გამოწვევა არ შეუძლიან. ამხანაგობა წვრილმან ეკონომიურ ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. ჩვენი ინტელიგენცია კი უფრო მაღალ ფარდოვან ფრაზეოლოგიას შეუძლიან გაიტაცოს, ვიდრე წვრილმან პრაქტიკულ საქმიანობას. არავის არას ვაყვედრით, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვართ, საკოოპერაციო მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეიქნება თვალ-საჩინო ფაქტორი ქართველ ხალხის ცხოვრებაში, როცა კოოპერაციის მოსარჩლეობას ეხლანდელი პლატონიური საფუძველი გამოეცვლება და იმის ადგილს ნათლად ხალხის მიერ შეგნებული პირადი ეკონომიური ინტერესი დაიჭერს.

ჩვენის შეხედულების დამამტკიცებელია სხვათა შორის ამ ცხრა თვის წინად ტფილისში დაარსებულ მეცხვარეების ამხანაგობის ისტორია. ამხანაგობა ტფილისში მცხოვრებმა ინტელიგენციამ დაარსა. განზრახვა და სურვილი ინიციატორებს მეტად მოსაწონი და კარგი ჰქონდათ. მეცხვარეები ეხლა იძულებულნი არიან 3—4 მანათად გაჰყიდონ თავისი მატყლი, ფაბრიკის პატრონები კი 14—16 მანათად ყიდულობენ ამავე მატყლს შუამავლებისაგან. შუამავლებს დიდძალი მოგება ჰრჩებათ ხელში და აი მეცხვარეთა საზოგადოებაც იმ აზრი დაარსეს, რომ მატყლი მეცხვარეებს პირდაპირ ეყიდათ მომხმარებლებზე ჩარჩების და შუამავლების დაუხმარებლივ. თუმცა ეს ამხანაგობა ყოველმხრივ სარგებლობას უქადის მეცხვარეებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი დღემდე მხოლოდ ქალალდზე არსებობს. ამხანაგობაში აქამომდე თითქმის არც ერთი მეცხვარე წევრად არ ჩაწერილა. ადვილი გამოსაცნობია, რატომ. მთებში და უხვედრ ადგილებში მცხოვრებმა მეცხვარეებმა არ იციან, რა ძალას წარმოადგენს კოოპერაცია, და რომ იცოდნენ კიდეც, ძალიან საეჭვოა მათთვის უცნობ ინტელიგენტების მიერ დაარსებული ამხანაგობას ანდონ მათ თავისი მატყლი. სულ ხვა სურათი იქნებოდა. დღეს ჩვენ თვალ-წინ, ამხანაგობის სათავეში რომ ისეთი პირები იდგნენ, რომელთაც მეცხვარეები იცნობენ პირადად და ენდობიან კიდეც. ასეთი პირები არიან თვით მეცხვარეთა წრეებიდან გამოსული ინტელიგენტები, რომელთაც ერთის მხრივ შეუძლებელია, არ ესმოდეთ კოპერაციის სარგებლობა, და მეორეს მხრივ დაუჯერებელია, ნდობა არა ჰქონდეთ დამსახურებული თვით მეცხვარეებში.

მეცხვარეთა ამხანაგობის დამაარსებლებმა ცხრა თვის უნაყოფო, მხოლოდ საქალალდო არსებობის შემდეგ დაინახეს, რომ საჭიროება მოითხოვს ამ საქმით ყოვლის უწინარეს დაინტერესონ ის ნაწილი ქართველ ინტელიგენციისა, რომელსაც პირადი კავშირი აქვს მეცხვარეებთან. დაინახეს და კიდეც მოიწვიეს საქმის მოსაწყობად, ვისაც იცნობდნენ. სამწუხაროდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ამ მოწვეულმა პირებმა, რომელთა უმრავლესობა თითონაც ცხვრის პატრონია, საკმაო თანაგრძნობა არ გამოიჩინეს. მართალია, არც ერთი მათგანი არ უარჰყოფდა კოოპერატიულად მატყლის ვაჭრობის მოწყობის სარგებლობას, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ მოისურვა ამ საქმეში აქტიკურ მონაწილეობის მიღება.

რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ეს განათლებული მეცხვარეები, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ვერც კოოპერაცია ვერ გაიწევს წინ იმ დრომდე, სანამ იმის სათავეში ისეთი პირები არ ჩადგებიან, რომელთაც საკუთარი ეკონომიური ინტერესი უკარნახებს ამხანაგობის მოწყობას. სხვა ქვეყნებში კოოპერატიული დაწესებულებათა სულის ჩამდგმელები ყველგან წვრილი მწარმოებლები არიან. ამ გარემოებას თავისი ეკონომიური მიზეზები აქვს. ეს მიზეზები აუცილებლად იჩენენ თავს ქართულ ნიადაგზედაც. ჩვენი განათლებული მეცხვარეები უმეტეს ნაწილად დიდრონ ფარების პატრონები არიან. არც საკვირველია, რომ ისინი დიდის გულმოდგინეობით არ მოეკიდნენ მეცხვარეთა კოოპერაციას. მათთვის ეს კოოპერაცია მაგრე რიგად საჭირო არ არის. ისინი უამისოდაც დიდ ძალას წარმოადგენენ მატყლის ბაზარზე. კოოპერაცია საჭიროა იმ წვრილ მეცხვარეებისთვის, რომელნიც ცალცალკე უძლურნი არიან და ვერავითარ წინაალმდეგობას ვერ უწევენ ჩარჩებს და შუამავლებს. ასეთ კოოპერაციის მოსაწყობად გამოსადეგი ელემენტი მარტო ოდენ წვრილ ფეხა მეცხვარეები არიან. მეცხვარეთა კოოპერაციის ინიციატორებმა სწორედ იმათ უნდა მიჰმართონ, თუ ხელი მიუწვდებათ. საქმე მხოლოდ მაშინ დადგება მტკიცე ნიადაგზე, როცა ეს წვრილი მეცხვარეები შეიგნებენ კოოპერაციის საჭიროებას და იჩოვიან ისეთ პირებს, რომლებსაც ანდობენ თავის მატყლს. უამისოდ

ОБЪЯВЛЕНІЕ

ცხრა თვის წინედ დაარსებული მეცხვარეთა საზოგადოება ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადასდგამს წინ.

სახელმწიფო სათათბიროს

თ დი ვოდკონსკი თავმჯდომარეობს.

მორიგ საკითხად წესიერ დასვენების პროექტის მე-14 მუხლია. ამ მუხლით ქალაქთა საზოგადოებრივს დაწესებულებათ და სამმართველოს ევალება საკალდებულო დადგენილებათა შემუშავება ვაჭრობის დაწყება დასრულების განსასაზღვრელად, ამ პროექტის 1 მუხლის თანახმად, სადაც ზედ-მეტ მუშაობაზეა ლაპარაკი.

ამ მუხლს მუშათა საკითხის კომისიის რედაქციით დებულობენ.

პროექტი სარედაქციო კომისიას გადაეცა შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: სათათბიროს სასურველად მიაჩნია იმ საკვაჭრო დაწესებულებებშიც სამუშაო დღის განსაზღვრა, რომელნიც კანონ-პროექტში არაა მოხსენებული და სადაც მუშაობა 12 საათზე მეტსა სწარმოებს, რის შემდეგაც სათათბირო მორიგ საქმეებზე გადადის.

ოთხს ახალ კანონ-პროექტს უკამათოდ დებულობენ. კამათს იწვევს წყნარ ოკეანესა და მისს ახლო-მახლო მდებარე ზღვაზე მავალ გემებზე უცხოთა მიღების რაოდენობის განმსაზღვრელი პროექტი.

შიდო უცხოელთა მიღების წინააღმდეგია (ცენტრი და მემარჯვენენი უწონებენ).

ბუჯინაც ამ პროექტის წინააღმდეგია.

კანონ-პროექტს დებულობენ.

ლერხე წინადადებას იძლევა შორეულ აღმოსავლეთის მოხალისე ფლოტის დასახმარებლად 2,800,000 ს. გრძელ-ვადიანი სესხი მიეცეს. საფინანსო და ხარჯთ-აღრიცხვის კომისიები თანახმანი არიან ამაზე, მით უმეტეს, რომ ამ შემოხვევაში მსესხებელი სახელმწიფო ხაზინა არისო. მოხალისე ფლოტმა კერძო ქარხანას 600,000 მან. უნდა გადუხადოს 1912 წლიდან ნაწილ-ნაწილ სამის წლის განმავლობაში.

კანონ-პროექტი მიღებულია უკამათოდ, კიდევ 4 კანონი-პროექტსა ღებულობენ. მათ შორის არყის გამოხდის შესახები კანონ-პროექტია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამერისა და ამურის მხარის ოლქებში უაქციზო არაყს ეზიდებიან.

თავმჯდომარის ადგილს გუჩკოვი იჭერს.

ადესის აღმინისტრაციისა და ნოვოროსიის უნივერსიტეტის მთავრობის ფინანსიურმა წერილებმა, რომელიც „ტიფ. ლის.“-ში დაიბეჭდა, პეტერბურგის ბირჟაზე დიდი სენსაცია მოახდინა და ფინანსთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომაც გამოიწვია.

უანგარო მამულიშვილი. ნიკოლაიძემ ფოთში რუსულად ლექცია წაიკითხა ამ თემაზე: „ქართველთა ბედნიერება მე-XIX საუკუნეში“. ლექციის შემდეგ ხალხს უფასოდ დაურიგეს „ზაკავკაზიე“-ს ნომრები. ამავე რედაქციამ ტფილისის ქართველ არისტოკრატების მინდობილობით ბ-ნი ნიკოლაძე ლექციის წასაკითხად ტფილისში მოიწვია. გიორგი ამერიჯიბის წინადადებით დეპუტატთა საკრებულომ ლექტორის პატივსაცემლად 12 ათასი მანეთი გადასდო.

იშვიათი თავი. ბათომის ქალაქის თავი თავობის პირველ წელიწადს სულ საბჭოს დარბაზში იდო. მეორე წელიწადს ქალაქში ორჯელ გამოგორდა. მესამე წელიწადს ტფილისში ჩამოგორდა. შემდეგ პეტერბურგამდე მიგორდა. წელს კი იქიდან მხოლოდ ერთხელ მიფრინდა ბათომში ქებურიას აეროპლანით, ქალაქს სამჯერ თავს შემოევლო და უკან გაბრუნდა. გზაში გეზი შეეშალა და ციმბირის ხავსიან ჭაობში დაეცა. იქ მცხოვრებთ ბათომის თავი მამონტის თავად მოეჩვენათ და პეტერბურგის დეპუშათა საგენტომ დიდის ამბით აუწყა ქვეყანას, მამონტის თავი აღმოვაჩინეთო.

თავგამოდებული მოქიშპენი. როგორც გადმოგვცემენ, სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლებმა დაადგინეს: კვირაში მხოლოდ ხუთი დღე მოანდომონ არშიყობას და ჰორებს, ხოლო ორი დღე დაუთმონ ქართულ საქმეებს. ერთ დღეს ქართული ჟურნალ-გაზეთები იკითხონ, ერთ დღეს კი ქართულ თეატრში წავიდნენ. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოსამსახურეებმა გულის-წყრომით შეუთვალეს: შეცილებას როგორ გვიბედავთო, თეატრში ჩვენც ვერ ვეტევითო.

„თაგვის ბრალია“. სიღნაღის თავად-აზნაურთა სამაზრო კრებაზე მომხდარ ინციდენტის შესახებ შემდეგს გვატყობინებენ: როდესაც კენჭების თვლას შეუდგნენ, ყუთში არც ერთი კენჭი არ აღმოჩნდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ცენზიანი აზნაურები ყუთში კენჭის მაგივრად თხილს ყრიდნენ; თხილი კი ყუთში მომწყვდეულ თაგვს შეეჭამა. ამრიგად, წინამძღოლის თანაშემწე უკენჭოდ იქმნა არჩეული.

საადგილ-მამულო კომისიის ანგარიშიდან სჩანს, რომ სამშობლო ტერიტორიას სამი წლის განმავლობაში მოჰმატებია 24 საჟენი, 1½ არშინი და ნ გოჯი მიწა.

ისტორიული წერილები. გუშინ ქუჩაზე იპოვნეს ძველი ხელთნაწერი შემდეგ სათაურით: „Мои впечатлѣнія“, რედაქციამ ვერ გამოარკვია: ვის კალამს ეკუთვნის ეს ხელთ-ნაწერი—ლევ ტოლსტოისა, თუ რუსკინისას? ხელთ-ნაწერი გამოსაკვლევად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა.

ჩხრეკა და დაპატიმრება. გუშინ სათავად-აზნაურო ქარვასლაში დიდი ჩხრეკა იყო. დააპატიმრეს რამდენიმე ქართველი არტისტი და ღვინის სარდაფში გაგზავნეს.

ქართულ კლუბში. წელს 50 წელიწადი შესრულდა, რაც ტფილისში ქართული კლუბი დაარსდა. ამის გამო ხვალ კლუბში სადღესასწაულო საღამო გაიმართება. მონაწილეობას ყველა გამვლელი მიიღებს.

თავშესაქცევი პოლკი. ტფილისში დაარსდა თავშესაქცევი პოლკი, სადაც იღებენ ყმაწვილებს წლოვანებით 3 თვიდან 13 თვემდე. პოლკში უკვე ჩაეწერნენ საბჭოს კრებებზე ხშირის სიარულით გულ-გაწვრილებული ხმოსნები, ქართულის კლუბის მამასახლისნი და ყველა ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც მეტის ძოღვაწეობით მოიქანცა.

ქალთა უმაღლესი კურსები. ამ კურსებზე სწავლა მშვიდობიანად და ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს. მყუდროებას არღვევს მხოლოდ მოსამსახურე ბიჭი, რომელიც ლექციის დროს ტკბილ ძილში წასულ „კურსისტკებს“ ხმა მაღალის

კოგაჯევსკი, როგორც ეკონომისტი და უფლებათა ისტორიის მცოდნე, ამტკიცებს: თავის სურვილით გადამდგარ მღვდელთა უფლებათა შეკვეცა თვითონ სასულიერო კანონმდებლობათა დარღვევაა, უდანაშაულოთა დასჯა არ შეიძლება. არც კანონ-მდებელნი და არც ეკლესია არ ემხრობოდნენ უფლებათა შეზღუდვას.

გრაფი ვიტტე კანონ-პროექტის უარყოფის მომხრეა.

დურნოვო კომისიის რედაქციას იცავს და სათათბიროს რედაქციას უარჰყოფს; სახელმწიფო მოვაღიეა ეკლესიას დაეხმაროს, ვინაიდან ეკლესია ერთგვარად სახელმწიფოს ეხმარებაო.

შემდეგი სხდომა 18 დეკემბერს მოხდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი.

საზღვარ-გარედ.

სოფია. გარდაიცვალა მაკედონელთა ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდენტად ყოფილი ზონჩევი.

მექსიკა. მთავროვის ჯარმა რევოლუციონერთა ზღუდე მალაპოდაიჭირა.

ჩიკაგო. 75,000 მეშანქანეთ და მატარებელზე მომუშავეთ ჩიკაგოდან ჩრდილოეთიდან ვიდრე სამხრეთამდე ჯამაგირს ათი პროცენტი მოუმატეს.

პარიზი. „ჟურნალს“ ატყობინებენ ლისაბონიდან, რომ მონარქიულ შეთქმულობის აღმოჩენამ დიდი აღელვება გამოიწვია მუშებსა და სამხედრო ფლოტზე მომუშავეთა შორისაო. ბევრმა ფული უცხო ბანკებში შეიტანესო; ირწმუნებიან, რომ მთავრობამ სატახტო ქალაქთან მდგომი რამდენიმე კრეისერი განდევნაო.

ათინა. მიწის ძვრისაგან მრავალი სახლი დაინგრა. ხალხი შიშმა შეიპყრო და გარბოდა.

რუსეთი

პეტროზოვოდსკი. ქალაქ ლიდენ-პოლში ქუჩაში მგელმა დაჰგლიჯა ექვსი კაცი. მგელი მოჰკლეს. სროლის დროს შემთხვევით მოჰკლეს გლეხის შვილი. ამბობენ მგელი ცოფიანი იყოვ.

იაროსლავი. ქალაქის საბჭოს დაუდგენია ტოლსტოის სახელობაზე ბიბლიოთეკა გახსნას.

პეტერბურგი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აცნობა სტუდენტობას, რომ 25 თქვენთგანი სწავლა განათლების სახალხო სამინისტროს ფინანსიურ ანგარიშებს ეკონომიურ ინტერესებს ეკონომიურ ინტერესებს

ОБЪЯВЛЕНІЕ

ოხუნჯი

ხალვრეთ გიზეთი

გუგუ, კუ-კუ თუ ჰოფ-ჰოფ?!

საქართველოს მიდამოში
გაინდა უცხო ჩიტი ერთი:
გააოცა ამ ფრინველმა
დაბლა ეშმა, მაღლა—ღმერთი.
ღღეს რომ ქართლში დაჰფრინავდეს,
ხვალ კახეთში თავს ამოჰყოფს.
ქართლს იძახის იგი „გუ-გუს“
კახეთში კი მკვახე „ჰოფ-ჰოფს.“
მაამზგავსეს იგი გუგულს,
თუმცა კი ჰგავს უფრო ოფოფს.
როს ოფოფს ჰგავს იტყვის—„გუ-
გუს“,
როს გუგულსა—ჰყვირის „ჰოფ-
ჰოფს“...

იმერეთის ოფოფებმა,
რა ამოჰკრეს გუგულთ კუკუ,
„ჰოფ-ჰოფის“ და „გუგუს“ ნაცვლად
დაიძახეს ტკბილად: „კუ-კუ!“
მსწავლულები შეკამათდნენ
დააყენეს მელნის ქაფი;
ქართლ-კახეთს და იმერეთში
ამუშავდა ტელეგრაფი.
ჩიტის ჰანგის ჩასაწერად
მოიმარჯვეს... ფონოგრაფი!..
სანამ ჩვენი მსწავლულები
ჩიტს დასდევენ დასაჭერად,
გავაფრინოთ ჩვენი მუზა
ხვა გვარ გუგულთ დასაზვერად:
ორსა რუსულს გაზეთს სამი
გუგული სცემს და ცხოველ.ჰყოფს,
ყოყლოჩინობს ქართველურად
და რუსულად სჩმახავს „ჰოფ-ჰოფს“.
კვერცხებსა სდებს სხვის ბუდეში,
ბუს და სვავებს ეფერება,
ქართველს მკითხველს კი ჩინჩახვი
უცხო ენით ებერება.
ქართულ ბანკის მოთავენი
ვერ უსწრობენ წინსვლაში კუს:
დაბადებით ოფოფები
იძახიან მაინც „კუ-კუს“!..
მტრობას და მითქმა-მოთქმას
შეალიეს მათ დრო მთელი.
და ხაზინას ეროვნულსა
მით ენგრევა საძირკველი!
თავადი თუ აზნაური
ფრინველობას თვისს უარჰყოფს,
მაგრამ მაინც გუგულია,
თუმც იძახის მუდამ „ჰოფ-ჰოფს“.
ასე ძმებო და ამ გვარად
ჩვენში ძალა პატრონს ვერ სცნობს:
ერთნი ჯიშით—გავიძახით
ზოგნი „გუ-გუს“, ზოგნი „ჰოფ-
ჰოფს!“

კ. ბ—შვილი.

ახალი ამბები

მგზავრობაში დაბერებული. მექანდაკე ნიკოლაძის მიერ გაკეთებული ილიას ძეგლი ათის წლის მგზავრობის შემდეგ ტფილისში ჩამოვიდა. ახალგაზრდა ქალი მგზავრობაში იმდენად დაბერებულა, რომ ი. ნიკოლაძესაც ველარ უცვნია.

ანტონ ფურცელაძე და ფინანსთა მინისტრი. ანტონ ფურცელაძის ფინანსიურმა წერილებმა, რომელიც „ტიფ. ლის.“-ში დაიბეჭდა, პეტერბურგის ბირჟაზე დიდი სენსაცია მოახდინა და ფინანსთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომაც გამოიწვია.

უანგარო მამულიშვილი. ნიკ ნიკოლაძემ ფოთში რუსულად ლექცია წაიკითხა ამ თემაზე: „ქართველთა ბედნიერება მე-XIX საუკუნეში“. ლექციის შემდეგ ხალხს უფასოდ დაურიგეს „ზაკავკაზიე“-ს ნომრები. ამავე რედაქციამ ტფილისის ქართველ არისტოკრატების მინდობილობით ბ-ნი ნიკოლაძე ლექციის წასაკითხად ტფილისში მოიწვია. გიორგი ამერიჯიბის წინადადებით დეპუტატთა საკრებულომ ლექტორის პატივსაცემლად 12 ათასი მანეთი გადასდო.

იშვიათი თავი. ბათომის ქალაქის თავი თავობის პირველ წელიწადს სულ საბჭოს დარბაზში იდო. მეორე წელიწადს ქალაქში ორჯელ გამოგორდა. მესამე წელიწადს ტფილისში ჩამოგორდა. შემდეგ პეტერბურგამდე მიგორდა. წელს კი იქიდან მხოლოდ ერთხელ მიფრინდა ბათომში ქებურიას აეროპლანით, ქალაქს სამჯერ თავს შემოევლო და უკან გაბრუნდა. გზაში გეზი შეეშალა და ციმბირის ხავსიან ჭაობში დაეცა. იქ მცხოვრებთ ბათომის თავი მამონტის თავად მოეჩვენათ და პეტერბურგის დეპუშათა საგენტომ დიდის ამბით აუწყა ქვეყანას, მამონტის თავი აღმოვაჩინეთო.

„ოთაგვის ბრალია“. სიღნაღის თავად-აზნაურთა სამაზრო კრებაზე მომხდარ ინციდენტის შესახებ შემდეგს გვატყობინებენ: როდესაც კენჭების თვლას შეუდგნენ, ყუთში არც ერთი კენჭი არ აღმოჩნდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ცენზიანი აზნაურები ყუთში კენჭის მაგივრად თხილს ყრიდნენ; თხილი კი ყუთში მომწყვდეულ თაგვს შეეჭამა. ამრიგად, წინამძღოლის თანაშემწე უკენჭოდ იქმნა არჩეული.

ანგარიშიდან სჩანს, რომ სამშობლო ტერიტორიას სამი წლის განმავლობაში მოჰმატებია 24 საჟენი, 1½ არშინი და ნ გოჯი მიწა.

ისტორიული წერილები. გუშინ ქუჩაზე იპოვნეს ძველი ხელთნაწერი შემდეგ სათაურით: „Мои впечатлѣнія“, რედაქციამ ვერ გამოარკვია: ვის კალამს ეკუთვნის ეს ხელთ-ნაწერი—ლევ ტოლსტოისა, თუ რუსკინისას? ხელთ-ნაწერი გამოსაკვლევად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა.

ჩხრეკა და დაპატიმრება. გუშინ სათავად-აზნაურო ქარვასლაში დიდი ჩხრეკა იყო. დააპატიმრეს რამდენიმე ქართველი არტისტი და ღვინის სარდაფში გაგზავნეს.

ქართულ კლუბში. წელს 50 წელიწადი შესრულდა, რაც ტფილისში ქართული კლუბი დაარსდა. ამის გამო ხვალ კლუბში სადღესასწაულო საღამო გაიმართება. მონაწილეობას ყველა გამვლელი მიიღებს.

თავშესაქცევი პოლკი. ტფილისში დაარსდა თავშესაქცევი პოლკი, სადაც იღებენ ყმაწვილებს წლოვანებით 3 თვიდან 13 თვემდე. პოლკში უკვე ჩაეწერნენ საბჭოს კრებებზე ხშირის სიარულით გულ-გაწვრილებული ხმოსნები, ქართულის კლუბის მამასახლისნი და ყველა ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც მეტის ძოღვაწეობით მოიქანცა.

ქალთა უმაღლესი კურსები. ამ კურსებზე სწავლა მშვიდობიანად და ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს. მყუდროებას არღვევს მხოლოდ მოსამსახურე ბიჭი, რომელიც ლექციის დროს ტკბილ ძილში წასულ „კურსისტკებს“ ხმა მაღალის

ОБЪЯВЛЕНІЕ

ყვირილით ხშირად აღვიძებს. მოსალოდნელია არეულობა.

ძუთაისის ამბები

— სახალხო უნივერსიტეტის საქმე მას შემდეგ გამოსწორდა, რაც ექიმმა ტყეშელაშვილმა რუსეთიდან „606“ ჩამოიტანა.

— რადგან ქალაქის თვით-მმართველობის კასა ისევ ცალიერია, ხმოსნებმა დაადგინეს: კასას უებარი „ექვსას ექვსი“ შეუშხეპუნონ.

— თვით-მართველობის წვრილმა მოსამსახურეებმა სიზმარი ნახეს: ახალი საბჭო ახალის გამგეობით საახალწლო საჩუქარს ურიგებდა.

— ქალაქის ბიბლიოთეკაში „ზალოგის“ მაგივრად კვლავ ძველ ქუდებს სტოვებენ. იმედია, ჩქარა ქუდის მაღაზია გვექნება.

— წარსულ კვირას სეირნობის დროს ერთი ქალი წაიქცა ახლად გამოგონილ ვიწრო კაბის წყალობით. აქაც „606“ არის საჭირო.

— თეატრში ბენეფისები გახშირდა. ფასებს ისე დაუწიეს, რომ წვრილი მოსამსახურენი და მუშები ასე მუქთად თეატრში სიარულს აღარ კადრულობენ.

აბდა-უბდა

(ახალგაზრდა მგზნებების მიბაძვა)

„ჰირიმე, გენაცვალე,
გენაცვალე, ჰირიმე;
ჰირიმე, გენაცვალე,
გენაცვალე, ჰირიმე,
შეგტკბეს, ჰირიმე,

ტროს განკარგულებით უნივერსიტეტიდან დათხოვნილიყო, რომელთა შორის 4 დაპატიმრებულია.

ფინანსიურმა კომისიამ მიხსენება შეიტანა სათათბიროში არსებული შემოსავლის გადასახადზე. 15 სექტ. 18 ოქტომბრამდე სათათბიროში 23 შეკითხვა შეიტანეს. 2 უკან იქმნა წაღებული. საერთოდ განსახილველად იყო 69 და აქედან მოიწონეს 61 15 დეკემბრისთვის განსახილველია 331 კანონ-პროექტი. სათათბიროს წევრთაგან შეტანილია 14 განზრახული კანონმდებლობა და 18 კანონ-პროექტი.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შეკითხვა შეუტანია შინაგან მინისტრის მიმართ. შემკითხველნი უსამართლობას ჰხედავენ პეტერბურგის ადმინისტრაციის ქცევაში, რომელთაც გაჩხრიკეს და დაპატიმრეს გრაფიულ ხელოვნების ნაშები.

დონის-როსტოვი. შეიპყრეს ბრბოვაზაკებისა, რომელთაც გაძარცვეს სამარის პოსტა და გაიტაცეს 10,000 მანეთი. მათვე მოუკლავს პოსტის უფროსი.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **პანაშვიდი ქათალიკოსის სულის მოსახსენებლად.** დღეს ვანქის ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულ ქათალიკოსის მათეოს მეორის იზმირლიანის სულის მოსახსენებლად. წესრიგის დასაცველად არჩეულია საგანგებო კომისია სომხის საზოგადო მოღვაწეთაგან.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 20 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს მორიგი კრება არ მოჰხდება, რადგან ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოფი ეჩმიაძინს გაემგზავრა ქათალიკოსის დაკრძალვაზე დასასწრებლად. კრება 21 დეკემბრისთვის დაინიშნა.

✦ **ტფ. ტრამვაი.** 20 დეკემბერს კრება ექმნება ტრამვაის მეთვალყურე ქალაქის კომისიას. კრებაზე კომისია ტრამვაის საზოგადოებას კიდევ დააჯარიებს, რადგან 14 და 15 დეკემბერს 94 მაგივრად ტფილისში კიდეე 72 ვაგონი ამუშავა.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** გროზნის ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა, ქალაქის თანხიდან ფული გადასდოს კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად. ფულის რაოდენობა ჯერ არ განუსაზღვრავს.

✦ **ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა იოსებ გედევანიშვილისა. პიესისათვის დასატულია ახალი დეკორაციები ცნობილის მხატვრის ნოვაკისაგან. პიესას სდგამს ბ-ნი შალიკაშვილი, რომელმაც წრეკანდელ სეზონში თავი იჩინა, როგორც დიდი გემოვნების მექონე და დაკვირვებულმა რეჟისორმა. პიესაში მონაწილეობას იღებს საუკეთესო ძალები დასისა.

✦ **გაძარცვა.** როგორც გვატყობინებენ, 12 დეკემბერს სიღნაღიდან 12 ვერსის მოშორებით ორ შეიარაღებულ უცნობს გაუძარცვავს ომნიბუსით მიმავალი სამი მგზავრი: სიღნაღის მცხოვრებნი ზაქარია ედიგაროვი და ვარდო ქანანოვი და ტფილელი ვაჭარი მოსრო პაპაიანი. პირველისთვის წაურთმევიათ 15 მ., მეორისთვის—ვერცხლის საათი, ხოლო მესამისთვის—150 მანეთად ღირებული ოქროს საათი და 43 მან. ფული. ამ საქმის გამო ეჭვით შეუპყრიათ სიკო კაპანაძე და ნიკო მედულაშვილი.

✦ **დეპუტატის ჩამოსვლა.** 17 დეკემბერს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი და იმავე დღეს ქუთაისს გაემგზავრა.

✦ **ეგსარხოსის ჩამოსვლა.** საქართველოს ეგსარხის ტფილისში დაბრუნებას 21 დეკემბერს მოელიან.

✦ **„ნოეს სამკურნალო“ და „ნოეს ვაზი“.** ავჭალის ქუჩაზე არსებობს ღვინის ფუქნები, რომელთაც წარწერა აქვთ „ნოეს სამკურნალო“ და „ნოეს ვაზი“. ამ წარწერისთვის ყურადღება მიუქცევია საქართველოს ეგსარხოსის მოადგილეს ეპისკოპოს გრიგოლს. რათა ამ წარწერებმა გამრყვნელი გავლენა არ იქონიოს ხალხზე, ეპისკოპოსმა ტფ. გუბერნატორს სთხოვა, მიეფუქნებს აღუკრძალეთ ასეთ წარწერების გამოკიდებაო. გუბერნატორმა შესაფერი განკარგულება მოახდინა.

✦ **ადმინისტრაციის საყურადღებოდ.** ხაშმიდან ჩამოსულა სოლომონ ჭუაძე და დაბანაკებულა ტერტეროვის ბაკში. ღამე გლეხისთვის ვირთაგვას სახეზე გადაუვლია და დასიებულა. ტანსა და სახეზე მუწუკები დაუყრია და ამ ჟამად ჩირქი სდის კიდეც. ჭუაძეს აციებ-აცხელებს. საჭიროა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს.

✦ **ვერის სასაფლაო.** ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებულმა სომხრუნველობამ უკვე მიიღო საქართველოს ეგსარხოსისგან ნებართვა: შემოავლოს ქვიტკირის გალავანი ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოს. რადგანაც საჭირო თანხა სომხრუნველოს არ მოუპოვებია, ამიტომ ექსარხოსმა სომხრუნველოს ნება დართო, შეწირულებათა შეკრებისა საგანგებო წიგნით და შემკრებლებადა დამტკიცა: ქაროუმიძე, მაისურაძე და იმნაიშვილი. ფულის შეკრეფას ამ დღეებში შეუდგება.

✦ **კალენდარი.** რედაქციამ მიიღო 1911 წლის კალენდარი კედლისა. შედგენილი და კამოცემული გრ. ჩარკვიანისა და კ. თავართქილაძის მიერ, ფასი 40 კაპ.

✦ 17 დეკემბერს ზოდიტიამ ტფილისში შეიშვრა 37 უბსსბორტი.

✦ ზენის კაზეთის დღევანდელ ნომერთან ხედის მომწერთ ურიგდებათ სუმაწვიდი ფურნად „ნაკადული“ს კანტხადებს.

✦ დღეს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ასიათანი წაიკითხავს დექციას „როგორ ეგებებიან ახალწელიწადს საქართველოში“. სამკურნალო სახოკადოების სადგომში ქ-ნი ბარნაბაშვილი წაიკითხავს „რობინზონ კრუ'ხე“-ს. დასაწყისი დიდის 11 საათზე.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ნომერში მოთავსებულ ახალშობილის დექსში „ბარათაშვილის ხსოვნას“ დაბეჭდილია „მკითხავ: სევდა-კაშინი“ უნდა იყოს: „კითხავ; სევდა-კაშანი“.

„რკინის პატრიარქი“

1894—95 წ. ოსმალეთის სომხობას მოთმინების ფიალა აევსო. მას საუკუნოებით განცდილი მონობა მოჰბეზრდა, მით უმეტეს, რომ მის წმიდათა წმიდას ფეხქვეშა სთელავდნენ ველური ქურთები და ფანატიკი ოსმალები.

ოსმალეთის სომხეთი „სისხლის მსმელი სულთან ჰამიდის“ წინააღმდეგ ამხედრდა.

სომხის ხალხს იმედი ჰქონდა, რომ „ქრისტიანი“ ევროპა მიეშველებოდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა, ვინაიდან „ქრისტეს მორწმუნე ევროპამ“, „ყური მოიყრუვა. ამითი **ბედუკუ-ჰამიდმა** ისარგებლა და სომეხთა სისხლით ერთხელ კიდევ მოარწყო. სომეხთის მიდამო... მაგრამ ოსმალეთის ამ ბარბაროსულ ამხედრების ჟამს და სომხობის უწყალო ხოცვა-ყლეტის დროს პატრიარქი იზმირლიანი არა სდუმდა. იგი ფარად უდგა თავის წამებულ მოძმეებს და მედგრად და უშიშრად იცავდა თავისს სამშობლოს. პატრიარქი იზმირლიანი შეუპოვრად მიდიოდა **„წითელი სულთანის“** წინ და „ავაზაკს“ უწოდებდა მას, ხანდისხან-კი „ქრისტიან ევროპის“ წარმომადგენელთა კარს უკაკუნებდა და სამართლიანობას მოითხოვდა, რისთვისაც ხალხმა მას **რკინის პატრიარქი** უწოდა.

გამხეცებულმა **ჰამიდმა** მით ამოიყარა ჯავრი, რომ იზმირლიანი გადაასახლა იერუსალიმს, სადაც 12 წ. დაჰყო.

როდესაც ჰამიდის ბატონობას ბოლო მოეღო და ოსმალეთში კონსტიტუცია დამყარდა „რკინის პატრიარქი“ სტამბოლს დაბრუნდა და ხალხის თხოვნით ხელმეორედ საპატრიარქო ტახტზედ ავიდა, რის შემდეგაც იგი აირჩიეს ეჩმიაძინის ქათალიკოსად... და აი ამ შეუდრეკელმა ადამიანმა, რომელმაც მრავალი ტანჯვა-ვაება აიტანა, ვეღარ გაუძლო ჩვენს ცხოვრებაში გამეფებულ საზიზღარ ინტრიგანობას და... გარდაიცვალა.

საუკუნოდ იყოს კეთილ და უანგარო ადამიანის და ხალხის გულშემატკივარ შვილის ტკბილი ხსოვნა.

Artemius.

კოტე მესხის

იუბილეს გამო.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორია კიდევ ერთს ფრიად შესანიშნავს ფაქტს იძენს. 21 ქრისტეშობისთვეს ჩვენმა დაუღალავმა და ნიჭიერმა მსახიობმა კოტე მესხმა უნდა მოიმკას ის, რაც მას 30-თი წელიწადი უთესია ქართულ თეატრის ასპარეზზე. მაგრამ მოიმკის კი? რასაკვრელია, არა. მაგალითები? რამდენი გნებავთ. საუბედუროდ ჩვენი საზოგადოება ამისთანა შემთხვევებში უფრო მეტს ადგილს პლატონურ გრძნობებს უთმობს და უმთავრესი სატკივარი ჩვენი იუბილეარების ნივთიერი მხარეა, უსაღსრობა, და ეს უცვლელად რჩება.

ბატონებო, ცალიერს კუჭს მეტ-ხარე სიტყვები არ შველიან! საჭიროა უფრო მეტი რეალური ზომების მიღება, რომ სიბერის დროს რამდენიმედ უზრუნველ ვყოთ ჩვენი მოღვაწენი. ამათ რიცხვს კოტე მესხიც ეკუთვნის. მან, თავის წარმოდგენელის ენერგიით, მეტისმეტი სიყვარულით სცენისადმი, თვალ საჩინო ნიჭით, დიდი ხანია საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენს მსახიობთა შორის. ყველას კარგად აქვს წარმოდგენილი რა ეკლნარს წარმოადგენს ჩვენი ხელოვნების ტაძარი და აი სწორედ ამ ეკლნარში შრომობდა კოტე მესხი 30 თი წელიწადი! დღეს ქართველი საზოგადოება მოვალეა რაც შეიძლება მეტი თანაგრძნობით და ყურადღებით მოეპყრას მას, რათა გაორკეცებული ენერგიით გასწიოს ის მძიმე უღელი სამშობლო ხელოვნების აყვავებისა, რომელიც წილად ხვდა ჩვენს მსახიობს.

ალ. თუთაევი.

ქველმოქმედთა საყურადღებოდ

გვიახლოვდება საშობაო უქმეები და თითქმის ყოველი ბავშვი, რომელსაც კი როდესმე ღირსებია საახალწლო საქუჩარი, დიდის სიხარულით მოელის ამ ბედნიერს დღეს. მაგრამ განა ბევრია ამისთანა ბედნიერი?!

ყოველ ფეხის გადადგმაზე ყველა ჩვენი ანი შეხვდება ისეთს საცოდავს, რომელიც არამც თუ საჩუქრებს მოელის ამ უქმეებში, არამედ ტანისამოსი და ხშირად საქმელი პურიც კი ენატრებათ.

აი სწორედ ამ გვარ ბავშთათვის მასწავლებელ ქალთა საზოგადოება მუდამ წელს მართავს შობის ხეს და ურიგებს სხვა და სხვა საჩუქრებს. ხშირად ხუთას-ექვსასი ბავშვი კი არა, ხორცითაც დღეს ჩვენში იყო და საქართველოს საკეთილდღეოდ ხან განსვენებულ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-სა, ხან მიშო მაჩაბლის დროის „ივერია“-სა და ხან საქართველოს სხვა ამგვარ კულტურულ დაწესებულებაში მოღვაწეობდა.

დიახ, მეცნიერნი თავს იმტვრევდნენ, შიო კი საიდუმლოს არ ამჟღავნებდა და გულში დასცინოდა მათს უვიცობას.

ყველაფერს დასასრული აქვს. შიომაც დაანება თავი კეკე-მალულობას და უცებ „ზაკავკაზიე“-ში თავის „ვეფხის ტყაოსნის“ დედანი გამოაქვეყნა, რომელიც იმდენად ჰოეტური, თავისუფალი, თავისებური და დიდ-ღირსებიანი აღმოჩნდა, რომ რედაქტორმა მიშო მაჩაბელმა გადაჭრით წარმოსთქვა: ჩემო შიო, შოთას ნამდვილად შენთვის მოუპარავს ეს ნაწარმოებიო. ამ აზრს მიელი რედაქცია მიემხრო, გაოცებულმა ხახა დააღო და ღაღადჰყო: კიდეც ამისათვის ვხვდებით შოთას ნაწერში საშინელ რუსიციზმებსაო.

დღეის შემდეგ, რასაკვირველია, შოთას უხეირო და ულაზათო თარგმანი არქივს უნდა ჩაბარდეს. საჭიროა, შიომ სთხოვოს რომელიმე ქართველს ჰოეტს, მისი „ვეფხის ტყაოსანი“ ქართულად ღირსეულად გადათარგმნოს.

მოიყრის ხოლმე თავს ამ[illegible] გარშემო.

ეს საზოგადოება კერძო პირთა დაუხმარებლივ ძნელად უძღვება ხარჯს, ამიტომ მიჰმართავს გულშემატკივართ დახმარებისთვის.

დაეხმარენით ამ საზოგადოებას რითაც შეგიძლიანთ და ამით მიეცით მას საშვალება უფრო მეტ ბავშვს ასიამოვნოს და დასაჩუქრებული გაისტუმროს სახლში.

შემოწირულება მიიღება საზოგადოების კანტორაში: **Барятинская № 6** დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მეფუტკრეობის გამოფენა

დრო იყო როცა მეფუტკრეობას შესაფერ ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან იგი არავისთვის ცხოვრების წყაროს არ შეადგენდა. დროიცვალა, ყველაფერს ფასი დაედვა, სხვათა შორის თაფლსა და სანთელსაც; სამაგიეროდ ეხლა მისს მოსაწევად სწავლა-ცოდნა დარჩა საჭიროდ. წინად თაფლოვან მცენარეთა სიუხვე იყო და ძველებურის მოვლითაც იძლევოდა შემოსავალს დალოცვილი ფუტეში.

1889 წელს თფილისში გამართულმა სამეურნეო გამოფენამ ყველა აშკარად დაარწმუნა, თუ რამდენად საჭიროა ჩარჩოიან სკების შეძენა, მათში ფუტკრების დამონავება და მოვლა. უმთავრესად ამ ხნიდან იწყება კავკასიაში ჩარჩოიან სკების გავრცელება და ფუტკრის გონივრული მოვლა. რამდენადაც შეეძლო ამას ხელს უწყობდა ტფილისის სააბრეშუმო სადგური, რომელთანაც ამავე დროს მეფუტკრეობის განყოფილებაც დაარსდა, მეფუტკრეობის შესწავლის მსურველთათვის. გაიხსნა საზაფხულო კურსები ოფიციალურის ანგარიშით ამ კურსებზე 600 მეტი მსმენელი ყოფილა (დღემდე).

ცხადია, ნაყოფი ბევრად მეტი იქნებოდა, რომ ყოველივე ეს ვიწრო ჩარჩოში არ ყოფილიყო მოშწყვდეული. ადგილობრივი ენებზედაც მოეწყოთ იგი და საქმე სოფლად გაემართათ—მაშინ, უეჭველია, გლეხობაც ისარგებლებდა და მეფუტკრეობა მარტო მდიდრების ხელმისაწვდომ დარგად არ იქნებოდა, როგორც დღესაა.

ასე თუ ისე, ბ-ნ სოლოვიოვის ანგარიშით (ამ ორი წლის განმავლობაში) ყოველ წლიურად კავკასიას მეფუტკრეობა 1,800,000 მან. აძლევს. თითო სკის შემოსავალს პატივცემული ავტორი 1 მ. 80 კ. ანგარიშობს. ეს მაშინ, როცა მეფუტკრეობა ადამიანეულია, ხოლო როდესაც ფუტკარი გონივრულადაა მოვლილი, თითეული სკა 10 მანეთსაც იძლევა. მეფუტკრეობის წესიერ ნიადაგზე დაყენებისათვის გულშემატკივარმა ადამიანებმა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოება დაარსეს, რომელიც თავის მიზანს სხვისგან დამოუკიდებლად ემსახურება. ეს საზოგადოება ჯერ სულ ნორჩია, მაგრამ საქმეს მხნედ მოეკიდა.

თუ სიღოვან ხუნდაძე იკისრებს ამ შრომას, მაშინ, უეჭველია, ქართველებს შესაფერი თარგმანი გვექნება შიოს ნაწარმოებისა.

კრიტიკოსი.

ნუ მომკლავ, მაცალე,
რისათვის გამცვალე!..
ვაიმე, ვაიმე!
გეკონე, გეხუტე, გიჩქმინტე, გაკოცე,
მეოცე,
გაოცე,
ილოცე,
ეგ ცხვირი იხოცე!
ზე ქალო,
კაკალო,
ზე კაცო,
მაღალო,
შემკრთალო,
შავ-თვალო,
მითხარი, სადა ხარ?
გამწყრალი რადა ხარ?
მარად ჟამს ჩემთან ხარ!
ჭირიმე, ჭირიმე,
ვსტირიმე, ვსტირიმე.
გიკბინე, მიკბინე!
იკინე, მისმინე!
ოჰ, გენაცვალე! ოჰ გენაცვალე!
ოჰ რად გამცვალე, ოჰ რად გამცვალე?
სატრფოვ, გეტყვი სიტყვას ძვირს,
შენი ქება რად არ ღირს?
შევჭამ ბლომად ლეღვის ჩირს...
რად მაყვირებ, როგორც ვირს?

გარდანქეშანი.

ბენეფისის მოლოდინი

ვას. აბაშიძე.

(ცხვირ დაშვებით და ტუჩებ წამოწევით „ბალამ-ბალამის“ ყაიდაზე მღერის და ისეთ პოზას იღებს, თითქოს ყველანი ფეხებზე ეკიდოს)

ჩამომეცა, გამგეობავ,
გავათავე ბენეფისი;
არაფერს არ ვითამაშებ,
არ გამიწყრეს სუფ სარქისი!..

კ. მესხი. (ტკბენით)

ჩემო კარგო, გამგეობავ,
გამიმართე იუბილე,
მერე თუღა თვალით მნახო,
მომდექი და ფეხით მზილე!..

გლ. ალექსი მესხიშვილი.

(ხანეზედ ტრაგიზმის ნასახი ეტყობა, ორჯელ გამწყრალა, მაგრამ მეხამედ ვეღარ გაუბედნია იუბილეს ელის).

თვითონ განსაჯე, ჰოი, კარგო გამგეობაო,
ესდენს შენ იღებ და ჩემს ჯიბეს რა დაშთებაო?
გნუკავ, შესცვალო ეგე შენი განჩინებაო,
თორემ ლტოლვისა მეტი კიდევ არრა მშთებაო!..

ვ. გუნია.

(არ იცვან შიმშილით ბარბაცებს თუ სიმთვრალით)

ბენეფისი კარგია,
თუ შემოვა ქანქარი;
თუ არა და, ვაიმე,
ამეშლება დავთარი.
მოვალეთა ხელები
გამოწვდილი მზად არი...
რა არის, გამგეობავ,
სულ ზამთარი... ზამთარი!..

ვ. შალიკაშვილი (იცრემლება)

ბენეფისი მომეთ მარა
„სული წინ-წინ გეიპარა“
ბენეფისი ან რად მინდა,
თუ არ დამრჩა „პაწა ფარა“.

ი. ზარდალიშვილი.

(შემოდის გაპერილი და სიტყვას იქ უმაღლებს, სადაც საჭირო არ არის)

ოცდა-ათსა დეკემბერსა,—
ვეხვეწები ღრსა, ბერსა,—
ქებეროვი მომიყვანოს;
და მან აეროპლანით,
რიგზე, ზომიერ პლანით—
პეტერბურგში წამიყვანოს!..

ელ. ჩერქეზიშვილი.

(„ტანცი-მანცით“ შემოსრიალდება. ეგან არტისტების ამალა მოსდევს. ჯავახიშვილი მუსიკას უკრავს და აცმაგვავებს, შემდეგ ორივე მეხზიმვილს უარშიყდება).

მე ეგ თქვენი ბენეფისი
ძალიან არ მეკნაჭება,—
ოღონდ ყველა „არტისტკაი“
რუსულად ნუ მეპრანჭება!

ა. კარგარეთელი.

(რეპეტიციებზედაც კი ტუსულად ლაპარაკობს).

როდის რა დამრჩა,
რომ ეხლა დამრჩეს?
Ну, бенефисъ!-ი
ოხრადამც დარჩეს!..

ნ. დავითაშვილი.

(განდგომილი თავისთვის ბუტბუტებს და თან მუშტებს იქნევს).

ბენეფისო, შენ მოგელი
ცრემლის მფრქვევი, ცრემლის
მქცევი,
თუ მიმტყუნე, იცოდე რომ
ქუთაისში გავიქცევი!..

ნ. ჯავახიშვილი.

(ბალიკაშვილს არ ახვენებს. სიყვარულს ეფიცება).

წინდაწინვე განა ითქმის
კაცის თავზე თუ რა მოვა?
ბენეფისი მომცეს, მაგრამ
მე რა ვიცი რა გამოვა!..

ქართ. დრამ. გამგეობა.

(დაბნეული დაფაცურობს. კასაში ვირ-თაგვებს გოძეგა).

ბენეფისი მომეცითო,—
ყველა ერთად გელრიჯება,—
როცა მისცემ, უარს ამბობს,
ტანსა ჰგრეხს და გელმინჭება.
ვერ უყურებთ, ბენეფისზე
ყველა უარს რომ აცხადებს?..
მაგრამ ეეჰ, აქტიორი
თავის სიტყვას ააცხადებს?!

ბარონ-ფონ-ბეგლარიოზ.

პატარა ფელეტონი

შიო დავიდოვი და შოთა რუსთაველი.

აღსრულდა... ამოვიცანით ის გამოუცნობელი ამოცანა, რომელზედაც მეცნიერნი დღემდე ამაოდ იმტვრევდნენ თავს. ამ ამოცანას „ვეფხის ტყაოსანი“ ჰქვიან.

ამტკიცებდნენ: ეს ნაწარმოები სპარსულიდან არის ნათარგმნი... შაჰ-აბაზის პოეტურ ალმაფრენის ნაყოფიაო და სხვა, მაგრამ... ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ ნაწარმოების ნამდვილი ავტორი მარტო სულით

თუ სიღოვან ხუნდაძე იკისრებს ამ შრომას, მაშინ, უეჭველია, ქართველებს შესაფერი თარგმანი გვექნება შიოს ნაწარმოებისა.

კრიტიკოსი.

გამოცანა *)

ერთი რამე კაცის მსგავსი,
ორფეხა და გულზე ხავსი
არ დაფრინავს, არც თუ დადის,
დღეს შეიქმნა მეტად ნავსი.
სისულელეს ეძახოდნენ,
არა ჰქონდა დიდი ფასი.
ახლა, ჰნახეთ, შეჰხარიან,
შეჰღალადებს დასთა-დასი.
თვით ის სიტყვა აქ ვიხმარე,
გეგონება ვერცხლის თასი,
უკულმა თუ წაიკითხავ,
შემოგყეფავს, ვით კაპასი.
გამოცანა ამიხსენი
მიუმატე კიდევ „ლასი“.

გარდანქეშანი.

განცხადება

გუშინ წინ სეირნობის დროს გოლოვინის პროსპექტზე დავკარგე ცოლი ლამაზი, ახალ გაზდა, ცოტათი შავგვრემანი. მპოვნელს ვევედრები, ნუღარ დამიბრუნებს.

რედაქტორ-გამომცემელი პირქუში.

*) ვინც ამას გამოიცნობს ჯილდოდ მიეცემა მშვენივრად დაკაზმული ა. ყაზბეგისა და ე. ნინოშვილის თხზულებანი.

გამართა ეს მეორე გამოფენა—ბაზარი, გამოსცა ფუტკრის საშიშარ ავადმყოფ-სიდამპლესთან საბრძოლველი ბროშიურა რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულს ენაზე; სცდილობს როგორმე გამოძებნოს საშვალება და იყოლიოს მოსიარულე მეფუტკრე (ინსტრუქტორი), რომელიც სოფლითსოფლად ივლის და ხალხს ფუტკრის გონივრულ მოვლას აუხსნის, მეტადრე ეხლა, როდესაც საშიშარ ხანას განიკიდის ჩვენი მეფუტკრეობა: აღმოსავლეთ საქართველოში მძინვარებს სენი სიდამპლე. მშვენივრად მოწყობილი საფუტკრეები ბორჩალოს, ლორიის და გუმბრის (ალექსანდროპოლის) მაზრებში დაღუპვას ჰლამობს. ამ საზოგადოების მიზანი ფრიად სიმპატიურია და სრული იმედია სათავად-აზნაურო და სამეურნეო ბანკი დახმარებას არ დაიშურებს.

გამოფენის გახსნის დღეს (15 დეკ.) მოკლე და შინაარსიან სიტყვაში, საზოგადოების თავ-მჯდომარემ თავ. პლ. მიხ. ლორთქიფანიძემ, სხვათა შორის აღნიშნა, რომ გონივრულ მეფუტკრეობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეძლებულები ეწევიან, მაგრამ საზოგადოების მიზანია წვრილ მესაკუთრეებიც გაუადვილოს ფუტკრის მოვლა. და მით ზოგიერთს ლუკმა პური გაუჩინოსო.

როგორც გამოფენაზე სჩანს (და ისედაც ვიცოდით) ყველაფერში ჩვენ ქართველები ვართ ჩამორჩენილი: არც შარშან და არც წელს ქართველ გლეხს ერთს ვერა ვხედავთ გამოეფინოს (ან გასასყიდად მოეტანოს რამე). სულ სხვაა სომხები. გლეხობაც მისდევს, ვაჭარიც და მემამულეც. მოსალოდნელია როგორც სხვებით. ისე ამ ჩვენი ბუნების სიმდიდრითაც ესენი [illegible] გებლენ. კიდეც შეერგებათ.

ეხლა გამოფენის ზოგიერთა საყურადღებო რამ აუწეროთ.

1. თავ. პლატ. მიხ. ლორთქიფანიძე ხამსახურიდან გადმდგარი პოდპოლკოვნიკი). საფუტკრე გაუმართავს გლდანში (თფილ. მაზრა) გლდანიდან საზაფხულოდ, მეფუტკრეობის ტერმინით რომ მოგახსენოთ, სამთაბაროთ სკები გადაყავს ერწოში ტოლაათ—სოფელში, (ხევსურები მოსახლეობენ) მთა-ბარობა ნიშნავს ფუტკრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანას როცა მაგ. ბარში ყვავილი მოილევა, მთაში იწყება იგივე მცენარის ყვავილობა, ამ რიგად ერთი ყვავილი ორ-სამ მოსავალს იძლევა. ასეთ მეურნეობას რუსები „качовка“-ს ეძახიან. ჩვენის ბუნებისათვის ასეთი წესი ძრიელ ხელსაყრელია. მეფუტკრეობა არ სად არ უსწავლია პრაქტიკა დაუწყია 1906 წ. 28 ძირი კოდიდან ესენი გადაუსხამს ჩარჩოიანს სკებში; დღეს 110 ძირი ჩარჩოიანი სკა ჰყავს. ერთსა და იმავე დროს ფუტკრებს კიდეც ამრავლებს და კიდეც ათაფლებს. მისი სურვილია საფუტკრე 250 ძირამდე აიყვანოს, ადგილობრივი სოფლელები სიამოვნებით მიდიან რჩევა-დარიგებისთვის.—რამოდენიმესთვის იუცია ჩარჩოიანი სკები. ამ მხარეში ზამთარში ფუტკრის დანელება იცვან, (დავსება) თაფლის გამოღების დროს ცეცხლში სწვავენ ან ერთგვარი სოკოით (გუდაფშუკა—ძილისგუდა) აძინებენ. ასეთ მხარეში რასაკვირველია თავ. ლორთქიფანიძის საფუტკრე სხვებისათვის მაგალითი იქნება. მიუხედავად იმისა რომ ფუტკრებს ნაყარს ართმევს (ხელოვნურად) და ეს თაფლობას ამცირებს, წელს ცუდ მოსავლის დროს, 40 ფუთი თაფლი მაინც მიუღია (70 ძირიდან). ფუთობით 10—11 მან. ჰყიდის გირვანქას 30 კ. თაფლი მშვენიერი სურნელოვანია, მეტის მეტი გამჭვირვალე და ანკარა.

2. სამრეველოს სკოლის მასწავლებელი **ბესო წიკლაური**—ერწ-ელი გლეხი. საფუტკრე აქვს იმავე ტოლაათ სოფელში 65 ძირი დადახის სკა. წელს მიუღია 30 ფუთი თაფლი ამისი თაფლიც ძრიელ კარგია. გარდა თაფლისა მუშაკ—მასწავლებელს ძვირფასი კოლექცია შეუგროვებია ადგილობრივი თაფლოვან ყვავილებისა და გამხმარი (გერმარიათ) გამოფენაზე წარუდგენია წარწერით, როდის რა ჰყვავის. გარდა ამისა წარმოუდგენია სანიმუშოდ ადგილობრივ ფუტკრის მოვლის დროს სახმარი აბედი, ფოკო, სოკო და სხვა. ამ ორს ლორთქიფანიძეს და წიკლაურს აქვს მეგობრული განწყობილება და ერთი მეორის ცოდნით სარგებლობს. სოფლელებს გადაუღიათ მაგალითი და უკვე გაუჩენიათ ფუტკარი ნაქალაქარში, საყარაულოში, თიანეთში და სხვაგან.

3. საგურამოს წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის მოძღვარი და მეფუტკრების მასწავლებელი **მღ. ალექს ჯანლიაშვილი.** მეფუტკრეობა თავისით უსწავლია, თაფლი და ყველაზე უკეთესი სუფთა სანთელი წარმოუდგენია, თაფლის არაყიც აქვს 60 დადანის სკა ჰყავს და წლიურად 600 მანეთი შემოსავალი აქვს. ადგილობრივ მცხოვრებთ ბევრს ეჩიჩინება, ფუტკარი გაიჩინეთო.

უკმაკურიძე

(შემდეგი იქნება).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

უოგედ დღე, კვირეებს კარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვრისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ბ. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. Თ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შიგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს შინაგ. და ბავშვთა ავად.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ქალ. ეკ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ფარიბების უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საბაჟურნალოს დირექტორი მედიც. დოტკორი **ბ. ა ნავასარდიანი.**

ᲡᲐᲛᲝᲜᲑᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ
ᲑᲔᲑᲘᲐᲥᲐᲚᲘᲡ
მ. ი. ᲤᲝᲠᲝᲠᲣᲡᲢᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ

მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით. არის აგრედვე საიდუმლო ოთახები.
რეუტოვის ქ. № 10. (100—279—6)

ᲔᲠᲗᲐᲓ-ᲔᲠᲗᲘ ᲗᲔᲕᲖᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲗᲝᲠᲔᲚᲘ (Кетовая) ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲗᲝᲠᲔᲚᲘ (Кетовая) ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗᲘ
ᲛᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ
ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოღის
ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ
ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) ᲓᲐ ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარანა).
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲝᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲠᲒᲘᲔᲚᲔᲑᲘ
ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (ᲡᲘᲝᲛᲒᲐ)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან
და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ᲒᲘᲠ.
აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—60)
ᲔᲠᲗᲐᲓ-ᲔᲠᲗᲘ ᲮᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲤᲘᲗᲝᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ.

ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ
მემოსავლიანი დიდის მოგებითა და უფასო დაზღვევით 5 წლის განმავლობაში, ცნობები უფასოდ იგზავნება.
ფასიან ქალალდების საავჭრო ამხ.
ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝ,
(ᲞᲐᲠᲘᲖᲘ),
სევასტოპოლის ბულვარი 30—1.
მიწერა და მიმართვა შეიძლება რუსულად საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილების მარკის ფასი დირს 4 კ., დაბეჭდილისა 10 კაპ
Мотиль и К-о 89747. (234 5—4)

ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲓᲕᲐᲚᲘ
ღვინისათვის, ანუ სხვაფრივ, დიდი და ნათელიანი, ვაგზლის მახლობლად, მალაკნებისა და ბატარეეის ქუჩებ შუა, კუთხეში, ყორლანოვის მამულში. იკითხონ იქვე ეზოში **ᲒᲐᲓᲚᲣᲡᲢᲐ.** (1—299—1)

ᲛᲝᲜᲑᲘᲐᲠᲔᲗᲐ ᲗᲐᲕ ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ
ᲑᲔᲑᲘᲐ ᲥᲐᲚᲘ
მ. ი. ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘᲡᲐ
ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.
მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელათ—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგათ უვლიან, საექიმო დახმარებას ᲗᲣᲓᲐᲛ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოთ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½/11½ საათამდე (100—276—6)

ᲛᲝᲜᲑᲘᲐᲠᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ
ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ
ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲥᲐᲚᲘᲡ
ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ.
ოლგას ქ., ხაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—34)

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
Თ. ᲢᲔᲤᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და გაანაწლა ავადმყოფების მიღება. იღებს მინაკან და სპეციალურად ᲕᲘᲜᲔᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲨᲐᲠᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲘᲚᲝ. ᲐᲒᲔᲒᲣᲚᲝᲑᲗᲐ ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲕᲐᲓ ᲛᲧᲝᲤᲗ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილარეტოვის სახლი, (50—170—34)

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ
სხვა და სხვა გარემოებისა და პირობების გამო, იძულებული ვარ ᲕᲘᲤᲘᲠᲐᲗᲘᲡ აწერილი წიგნები გავყიდოთ შემდეგ ფასებში
დაკაზმული წიგნები ოქროს ასოებით:

1. საქართველოს გეოგრაფია, გაბუშტი ბატონიშვილისა, ავტოტრის ხუთათით და ხაქართ. ქარტით 1 მ.
2. საქართველოს ისტორია, მიხე ჯანაშვილისა მესამე (ეკანასკნელი), გამოცემა საქართველოს ქარტით, 1 მ.
3. რომაელების ისტორია, 1 მ.
4. ძველი საქართველო, 1 მ. 50 კ.
5. ქართველ კათოლიკეთა ისტორია, თამარამშვილისა, ავტ. ხუთათ. 1 მ. 50 კ.
6. ქილილა და დამანა, თემურაზ მეფისა, გამოც. თავ. გ. გურიელისა. 3 მ.
7. დიდი ვეფხვის ტყაოსანი, მრავალი ხუთათ. ფერ. წამ. დაბეჭ 1 მ. 50 კ.
8. ვეფხვის ტყაოსანი, მრავალი ხუთათებით, ზეფულებრივ ქაღალდზე 40 კ.
9. ალ. ყაზბეგის ხრული თხზულება, ბიოგრაფ. ავტ ხუთათით 3 მან. 50 კ.
10. ე. ნინოშვილ ს ხრული თხზულება, ი. გომართელის კრიტიკ. განხილვით, ბიოგრაფ. და ავტ. ხუთ. 1 მან. 50 კაპ.
11. ასის ფლის ფეიდეგ. რომანი 1 მ.
12. ამბები ინგლ. ისტ. 1 მ.
12. გლეხი კაცი, თანამედ. რომანი, ოერ. ცხოვ., თარგ. ი. ბოლუმოურდვინ. 1 მ.
14 ხოჯაბრ, სამეფრეო და ხალიგიენურ ნარკვევები, მრავ. სახარგ. ცნობა, 10 მ.
15. გასაოცარი ამბები. (70ი ამბავია შიგ მოქცეული), 1 მ.
16. ნინო ოლრბ. ლექსები, ავტორ. ხუთათით, 80 კ.
17. სპარტაკი. რომანი-რომაელებ. ცხოვ. ქრისტეს დაბადებამდის, 1 მ.
18. ᲥᲕᲔᲥ. ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲜᲘ, 1 მან.

19. დონ-ქიხოტი, მრავალი ხურ. 1 მან.
20. ღალატი, მრავალი ხურათით, 1 მ.
21. სიყვარული, რომანი ლექსად, ხურათებით, 1 მ.
22. ცხოვრება და სიყვარ., რომანი, 80 წ.
23. ბენეზა და ცხოვრება, ხურათ. 80 კ.
24. თავ. დავით ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ხრული თხზ. 1 მ. 60 კ.
25. მაქსიმ ᲒᲝᲠᲙᲘᲡ 1-ლი ტომი 1 მ.
26. ᲐᲕᲔᲫ. ᲪᲐᲖ. მეორე ტომი 80 კ.
27. თავადის ქალი, მრომა და ფეფეენება, რომანი, 1 მან.
28. კალმასობა 1 მ.
29. ცხოვრება მეფე გიორგისა, 1 მ.
30. განდეგილის ლექსები და მოთხრობები 50 Კ.
31. ს. მეესხის ნაწერები, 80 კ.
32. ᲒᲚᲔᲮ-ᲥᲐᲪ. ისტორია, 2 მ.

დაუკაზმავი წიგნები:

33. დანიელ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ და მისი დრო, ფ. მაზარაძისა, 40 კ.
34. ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ, დ. ჭინქარაძისა, 15 კ.
35. ვაი ჭკუისაგან, გრიბოედოვისა ლექსად თქმული, განდეგილისა, 35 კ.
36. ᲐᲜᲐᲠᲙᲘᲜᲐ, ნ. ყორდანიასი, 25 კ.
37. ᲞᲠᲔᲡᲘᲐ, ნ. ყორდანიასი, 25 კაპ.
38. მწვანე სამეფო, ლუნკევიჩისა, 20 კ.
39. ᲡᲐᲛᲬᲣᲮ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ, ნინოშვილისა 30 კ.
40. ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ, ᲰᲣᲒᲝ, 80 კ.

სხვა და სხვა მრავალი რუსული და ქართული წიგნები იყიდება ძლიერ იაფად, ე. ი. ნახევარ,—მესამედ და მეოთხედ ფასებში.

(0—296—2) ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲮᲔᲛᲬᲘᲤᲝᲕᲘᲡ ქ. № 4, Ქ. ᲗᲐᲕᲒᲐᲠᲗᲘᲝᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲦᲘᲜᲐ
ᲖᲘᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐ
ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან
ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ ᲤᲐᲡᲐᲓ 25 მანეთიდან
КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ
ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ.
ᲣᲤᲝᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔᲡ
ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲝᲚᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡᲐ
ᲒᲠᲐᲜᲓ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲐ
შუა ბაზაზარი, სახლი 13.
ფასები: ᲑᲝᲚᲝ 20—50 კ., ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 8 მ.-ᲛᲓᲔ მანანი.
ღვინის საწყობთან არსებობს საუკეთესო სამხარეულო ევროპიული და კავკასიური საჭმელებისა.
(20—240—10) პატივისცემით Ნ. Გ. ᲩᲐᲒᲣᲜᲐᲕᲐ და Ს. ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ
ᲡᲐᲒᲣᲜᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
Ნ. Ვ. ᲐᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ.
ᲡᲐᲚᲐᲠ. „ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ“ და ნავთის ᲬᲐᲠ. ᲒᲣᲜᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ“ ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამცხწ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,
ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲫᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲗ
უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სწავა და სწავა სისტემის ბუჰგალტერიას და საიმერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.
კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.
დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასწავლა ყოველ-დღე, თხზულნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების მეშვეობ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.
ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მოძზადებულთათვის.
წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმ უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად. კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.
ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—2)

ᲤᲘᲠᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ 1840 ᲬᲚᲘᲡ.
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ
ᲬᲐᲘ
ᲒᲣᲒᲙᲘᲜ
ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘᲡ ᲐᲛᲮ.-ᲡᲐ
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲬᲚ. ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲐᲚᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ 50 ᲛᲘᲚ.
ᲘᲨᲝᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ
ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲜᲐᲠᲓᲐᲓ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ: ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘᲡ ქ. № 12 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜ. № 964.
(20—140—7)

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ
ᲗᲐᲒᲐᲒᲠᲘᲡ
ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ქ.
ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘ, ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲔᲑᲘ
და მათი მოწყობილობა დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის ხიკარგეზიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნადაზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მანქანებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. ᲛᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘ, ᲨᲔᲯᲔᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲝᲛᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲘᲗᲔᲑᲨᲘ
გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.
(50—269—3) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ᲞᲐᲢᲔᲤᲝᲜᲘ
ᲥᲐᲗᲐ ᲞᲐᲢᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ.
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲗᲝᲛᲝᲚᲐᲕᲐᲠᲐᲯᲔ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ
ᲜᲔᲛᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ ᲐᲠᲐ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐ ᲮᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐ ᲤᲣᲭᲓᲔᲑᲐ!
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ: ᲙᲐᲢᲔᲤᲝᲜᲘ ᲣᲪᲠᲣᲪᲝᲠᲝ.
№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.
ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲚᲘᲑᲘ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲧᲕᲐᲜᲝ Ა. Მ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲚᲘᲑᲘ.
ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ:

Ა. Მ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ
ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲘᲛᲞ. ᲛᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ.
24374. არია, ოპ „აფრიკანკა“, აკ. ორკ. (მეიეერისა).
24373. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“, აკ. გიტარისა, პროფ. ამიჩისა.

Ნ. Მ. ᲙᲚᲔᲕᲘᲪᲙᲘᲡᲐ.
(საუკეთესოდ შემსრულებელ რუსულ ხალხურ სიმღერებისა).
26640. „უხარ კუპეც“.
26730. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“.

ᲪᲘᲒᲐᲜᲗᲐ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ
39425. ა) „ორჯელ ჰყვავის აკაცია“ და ბ) ვადაჩონ“, ჩორდაშ.
39457. „აღტაცება“, ვალსი.
39453. „როს სიყვარული ჰქრება“, ვალსი კრეტერესი.
39469. „სცვივიან ფოთლნი ცაცხვისა“ და „ბალატინის ტალღებზე“.

ᲛᲛ. Ა. ᲔᲛᲡᲙᲘᲡᲐ.
ᲮᲐᲛᲞᲔᲠ. ᲐᲠᲢᲘᲡᲢ.
27245 „ნატვრა“ აკ. როიალ.
27251 „მიწყნარებ. ზღვასთან. აკკ. როიალის.
27246 „თქვნვე მიხვდით“ აკკ. როიალ.
27252 „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი“ როიალ. აკკ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲯᲐᲠᲐᲓᲐᲠᲘ.
ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ **ᲙᲐᲠᲚ ᲨᲣᲨᲐᲜ.** ᲢᲤᲘᲚ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ.
(9—247—4)

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲮᲘᲜᲐᲗᲚᲔ“ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 3.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲡᲝᲜᲓᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.